ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 271

ქალაქი ქუთაისი 27 მაისი 2020 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია ჭუმბაძისა და ანა ლეგაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 4 თებერვლის განჩინების (საქმე №08021011180024807 88) და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, დავით ერემეიშვილის 2020 წლის 8 მაისის N01/8422 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, დავით ერემეიშვილს მოქალაქეების: ნათია ჭუმბაძისა (პირადი №60001041603) და ანა ლეგაშვილისათვის (პირადი №60001041602) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას გამზირის №12ა-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ფართობი: 151,0 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.01.553) 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრის აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №83 დადგენილების შესაბამისად, რომელიც შეადგენს 1427,0 (ათას ოთხას ოცდაშვიდი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქეები: ნათია ჭუმბაძე (პირადი №60001041603) და ანა ლეგაშვილი (პირადი №60001041602) ვალდებულნი არიან საკუთარი სახსრებით უზრუნველყონ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ქალაქი ქუთაისი, გორის ქუჩა N82 /ს.კ. 03.04.21.225/) მისასვლელი სამანქანო გზის მოწყობა, ხოლო დარჩენილ ნაწილზე სკვერის კეთილმოწყობა (სკვერში იგულისხმება ნაკვეთის ფუნქციური დატვირთვა და არ იგულისხმება მისი დანიშნულების ცვლილება საჯარო რეესტრის უძრავი ნივთის ამონაწერის საკუთრების განყოფილებაში) მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმებით.

მუხლი 4. მოქალაქეები: ნათია ჭუმბაძე (პირადი №60001041603) და ანა ლეგაშვილი (პირადი №60001041602) ვალდებულნი არიან საკუთარი სახსრებით უზრუნველყონ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთზე (ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №12ა) ღობის მოწყობა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადაცემის ვადით. სარგებლობის უფლების მოქმედების დასრულებისთანავე, უზრუნველყონ მისი მოშლა და ქონების თავისუფალ მდგომარეობაში მესაკუთრისათვის დაბრუნება.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით ერემეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია